პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 8 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

228 (926) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ახალწვეულები და კედლის გაზეთები

რამოდენიმე დღეა, რაც საქართველოს ყველა მაზრებში დაიწყო და გრძელდება 1903 წელში დაბადებულ მშრომელი ახალგაზრდობის შეკრება, რომლებიც შეავსებენ ჩვენი ნაწილებიდან უვადო შვებულებაში ან უკვე გაშვებულ წითელ არმიელთა დანაკლისს.

სხვა მრავალ მუშაობასა და მზადებასთან ერთად ჩვენი ნაწილების სათანადო ორგანოებმა უნდა აწარმოონ ენერგიული მუშაობა, რომ ნაწილებში მოსულ ახალწვეულთა ფართო მასა დაუახლოვონ კედლის გაზეთების მუშაობას, რომ შემდეგში ამათგან გამომუშავებულ იქნას ახალი კადრი კედლის გაზეთების აქტიური მომუშავეებისა, სამხკორებისა და სხვა.

ნაწილის ამ დარგის მომუშავეებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ დღეს ყაზარმები ივსებიან ახალწვეულებით, სრულიად ახალი მასით, რომლებიც მოვიდნენ სოფლებიდან და ქალაქებიდან. ესენი ჯერ კიდევ არ იცნობენ წითელი არმიის ყოფა-ცხოვრებას, წითელ ყაზარმებს, არ იციან თუ რა არის პოლიტიკა და სხ. ამიტომ საჭირო იქნება, რომ ასეთ ახალგაზრდობასთან, მათი ყაზარმეში მოსვლისთანავე, დაწყებულ იქნას მუშაობა თავიდან და გაზეთებიც ამუქებდეს სპეციალურად ახალწვეულთა ყოფა-ცხოვრებას.

ნაწილების პარტ-ორგანიზაციებმა, კედლის გაზეთებისა და სამხკორთა შორის მომუშავეებმა უნდა გამოიმუშაონ მომავალი მუშაობის გეგმა სათანადო შინაარსიანი კედლის გაზეთების გამოშვებისათვის, სისტემატიურად, სადაც მთელი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას იმისაკენ რომ გაზეთი გახდეს ხელმისაწვდომი და გასაგები ახალწვეულებისათვის.

ამასთანავე ერთად საჭირო იქნება, რომ ახალწვეულებიც ჩაებან კედლის გაზეთების ყოველგვარ მუშაობაში. ამისათვის კედლის გაზეთების სარედკოლეგიის წევრებმა და სამხკორთა შორის მომუშავეებმა უნდა აწარმოონ სისტემატიური მუშაობა ახალწვეულთა შორის კედლის გაზეთების მუშაობის გარშემო, წაუკითხონ ხშირად ახალწვეულებს როგორც ადგილობრივი კედლის გაზეთები, ისე სადივიზიო და სხვა გაზეთები და ამ საშუალებით ჩააბან ისინიც გაზეთების მუშაობაში.

ჩვენი ნაწილების სამხკორ-ორგანიზატორებიც არ უნდა ჩამორჩენ სხვებს მუშაობაში და უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ნაწილის კედლის გაზეთის მუშაობაში ჩააბან ახალწვეულთა მასა, რომ შემდეგ აქედან ჩვენ მივიღოთ მომზადებული და კარგად გაწვრთნილი სამხკორები და პრესის საქმის მცოდნენი.

# ახალი რადიო-ამბები

## ევროპის გაზეთები საგარანტიო კონფერენციისა და საბჭოთა კავშირის შესახებ.

**ინგლისის კონსერვატიული პრესა.**

ინგლისის კონსერვატიული გაზეთები ეხებიან საგარანტიო კონფერენციას, და აღნიშნავენ კონფერენციის წრეების საზავო განწყობილებას“ და უპირდაპირებენ მას ჩიჩერინის საქმიანობას, რომელიც გაზ. „მორნინგპოსტის“ სიტყვით, „დღე და ღამე მუშაობს, რათა დაარღვიოს კონფერენციის საქმე“.

„ტაიმსი“ მიუთითებს, რომ ჩიჩერინი სცდილობს გამოიყენოს პოლონეთის ნერვიულობა რათა გავლენა მოახდინოს საფრანგეთზე. გაზეთი შენიშნავს, რომ ეს არ არის დიდი ყურადღების ღირსი, მაგრამ მოითხოვს, რათა სახელმწიფო მოღვაწეები არ უნდა ჩამოშორდენ მათ პირდაპირ მიზანს—სახელდობრ ზავის ჩამოგდებას რეინზე, რაც სერიოზულად აინტერესებს ინგლისის მთავრობას“.

როგორც „ტაიმსის“ კორესპონდენტი იტყობინება, მოკავშირეები ითვალისწინებენ, რომ მუდმივ მორჩილების ქვეშ ყოფნა გერმანიას მიიყვანს ომამდი და რომ გერმანიის მთავრობის შინაურ სიძნელეებს დღემდისაც არ უწევენ ანგარიშს.

კორესპონდენტი აცხადებს, რომ თუ პოლონეთი წარმოდგენილ იქნება კონფერენციაზე იმ მიზეზის გამო რომ ის იმყოფება საფრანგეთთან ხელშეკრულებაში, იმ შემთხვევაში ჩიჩერინიც უნდა იქნას მოწვეული კონფერენციაზე რაპალოს ზავის ძალით.

### საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები.

საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთების აზრით, გერმანია შევა ერთა ლიგაში და მოაწერს საგარანტიო ხელშეკრულებას ხელს.

არის ერთგვარი შიში, რომ „ჩიჩერინის“ ჩარევამ არ გამოიწვიოს გერმანიის ჩამოშორება ხელშეკრულებისაგან“. ფრანგული გაზეთი „ემფორმასიონი“ და ზოგიერთი სხვა გაზეთები აცხადებენ, რომ კონფერენციაზე ლაპარაკია არა რუსეთის ჩამოშორებაზე, არამედ პირიქით, ყველა სცდილობს, რათა საბჭოთა კავშირი შევიდეს ერთა ლიგაში.

## ჩიჩერინი ჰინდენბურგთან.

ვოლფის სააგენტოს ცნობით გერმანიის პრეზიდენტმა ჰინდენბურგმა 6 ოქტომბერს მიიღო ჩიჩერინი, რომელსაც თან ახლდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში კრესტინსკი.

## საგარანტიო კონფერენციის გარშემო.

**„არა ჟენევა და ლოკარნო, არამედ მოსკოვი“.**

ამერიკის გაზეთი „ივნინგ პოსტი“ განიხილავს მოწინავეში იმ მდგომარეობას რომელიც შეიქნა საგარანტიო კონფერენციის გარშემო. (საგარანტიო კონფერენციაზე უნდა დაიდოს სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულება ომისა და ზავის საკითხის შესახებ).

„თუმცა რუსეთის წარმომადგენელი არ იქნება კონფერენციაზე, მაგრამ მას ანგარიში უნდა გაეწიოს. რუსეთი სარგებლობს პოლონეთის შიშით, რომ საფრანგეთი უღალატებს მას (პოლონეთს) საგარანტიო კონფერენციაზე ლოკარნოში. იმავე დროს წითლები არწმუნებენ გერმანიას რომ ის თავის სურვილების ჭეშმარიტ დაკმაყოფილებას ჰპოვებს არა ჟენევაში და ლოკარნოში, არამედ მოსკოვში“.

## საგარანტიო კონფერენციის გახსნა ლოკარნოში.

**საიდუმლოდ აკეთებენ „ქვეყნის საქმეებს“.**

ხუთ ოქტომბერს ლოკარნოში გაიხსნა საგარანტიო კონფერენცია. კონფერენციის გახსნისას ჩემბერლენმა, რომელიც არჩეულია თავმჯდომარედ, თავის მისასალმებელ სიტყვაში ილაპარაკა „ჭეშმარიტ ზავის“ შესახებ და აღნიშნა, რომ კონფერენციამ გააერთიანა სხვა და სხვა თავისუფალ ხალხთა წარმომადგენლები, რომელთა განზრახვა არ არის ძალად მოახვიონ ერთმანეთს თავიანთი პირობები.

კონფერენციის ყველა დელეგატებმა აღთქმა დასდვეს, რომ საიდუმლოდ შეინახავენ კონფერენციის მოლაპარაკების სვლელობას.

## გერმანიის დელეგაციის დაცვა.

ხმების გამო, რომ გერმანიის ფაშისტებს განზრახული აქვთ შტრეზემანის მოკვლაო, ლოკარნოს პოლიციამ მიიღო განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები გერმანიის დელეგაციის გადასვლის დროს კონფერენციის ადგილამდი.

## საბჭოთა გემის დაკავება სვატოუში.

**ბურჟუაზიის აგენტების ხრიკები.**

საბჭოთა ტელეგრაფის სააგენტოს პეკინის განყოფილება იტყობინება, რომ სვატოუში (ჩინეთში) დააკავეს კანტონიდან მომავალი სავაჭრო ბარგით დატვირთული გემი „ასტრახანი“, ვითომც გემზე ყოფილიყოს იარაღი.

როგორც სჩანს, გემის დაკავება მოწყობილია ცნობილ უცხოელ წრეების მიერ, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა გემების მიმოსვლას ვლადივოსტოკ-შანხაი-კანტონს შორის.

## მაროკოს ახალი უზენაესი კომისარი.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დანიშნა იუსტიციის მინისტრი სტეგი მაროკოს უზენაეს კომისრად.

# საბჭოთა კავშირში

## მოსკოვში მოდის ჩინეთის ეროვნულ—რევოლიუციონური მოძრაობის მეთაური ხუ-ხან-მინი.

ერთ კვირაში მოსკოვში ჩამოვა ერთ-ერთი გამოჩენილი ჩინეთის ნაციონალურ—რევოლიუციონური მოძრაობის მეთაური ხუ-ხან-მინი, რომელიც არის გომინდანის (ჩინეთის ეროვნულ—რევოლიუციონური პარტია) პოლიტიკურ ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

## იაპონიის რკინის გზელთა დელეგაცია მოსკოვში.

6 ოქტომბერს მოსკოვში, იაპონია—საბჭოთა რკინის გზის კონფერენციაზე ჩამოვიდა იაპონიის დელეგაცია.

## ნავთის გასაღება.

აზერბეიჯანის ნავთის საბჭოს განყოფილების (აზნეფტტორგი) დაარსების დღიდან 1-ლ სექტემბრამდი განაღდებულია სულ 4.186.554 ფუთი ნავთი. აქედან აზერბეიჯანში გასაღებულია 2.495.892 ფუთი, საქართველოში—1.234.520 ფუთი, სომხეთში—280.205 ფუთი, ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე—247.937 ფუთი.

## სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანა.

ამიერ კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ დაუკვეთა გერმანიის ფირმებს დიდძალი სასოფლო—სამეურნეო იარაღი. მიღებულია უკვე 100 გუთანი ეკკარტისა და 150 საკკის სისტემის.

ამას გარდა გუთნების დიდი პარტია დაკვეთილია აგრეთვე ჩეხო—სლოვაკიაშიაც.

## არმიაში გაწვევა ბრწყინვალეთ ტარდება.

მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბრწყინვალედ ტარდება 1903 წელში დაბადებულ მოქალაქეთა არმიაში გაწვევა. გაწვეულთა განწყობილება კარგია. ჯერ-ჯერობით არ ყოფილა გაწვევაზე გამოუცხადებლობის არც ერთი შემთხვევა.

## ახალი საშუალება სიფილისის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ექიმმა ლაფფატმა გამოიგონა ახალი საშუალება სიფილისის წინააღმდეგ. ამ ახალი საშუალებით მოხდენილმა ცდებმა კარგი შედეგი მოიტანა.

## ქარიშხალი შავ ზღვაზე.

სევასტოპოლის მიმართულებით შავ ზღვაზე მძვინვარებს საშინელი ქარიშხალი.

დაიღუპა ერთი მეთევზეთა პატარა ხომალდი და სამი მეთევზე.

## ქვეითად მოგზაურობა მთელ ქვეყნიერებაზე.

საბჭოთა კავშირში ქ. მინსკში ჩამოვიდა საფრანგეთის მოგზაური ემმე კარროლი, რომელიც პარიზის სასპორტო საზოგადოების დავალებით მოგზაურობს ქვეითად ყველა ქვეყნებში.

კარროლი გამოვიდა პარიზიდან 1921 წლის დასაწყისში, უკვე შემოიარა ამერიკა, ავსტრალია და აფრიკა და ეხლა მიემართება მოსკოვით არხანგელსკში, საიდანაც წავა ციმბირში. დავალების თანახმად მთელი მოგზაურობა მან უნდა დაასრულოს 6 წელიწადში.

## იტალიის ჰიდროპლანი ლენინგრადში.

ლენინგრადში ჩამოფრინდა იტალიის ჰიდროპლანები.

აეროდრომზე მფრინავებს შეხვდენ შინაგან საქმეთა კომისარიატის წარმომადგენლები, იტალიის საზღვაო ატაშე და კონსული, ლენინგრადის ოლქის საჰაერო ძალთა წარმომადგენლები, ქალაქის კომენდანტი და დიდძალი ხალხი.

## ნათესების და ბაღ-ვენახების მდგომარეობა საქართველოში.

(მიწ.-მოქ. სახალხო კომისარიატის ცნობები).

**შორაპნის მაზრა.**

შორაპნის მაზრაში ნათესების და ბაღ-ვენახების მდგომარეობა შემდეგნაირია: სიმინდი და ფეტვი გვარიანია, კარტოფილი—საშუალო, ვენახი და ხეხილი—საშუალოზე უკეთესი, ბოსტნეული ძალიან კარგი. ბამბის მოსავალი კი არ ვარგა.

**ტფილისის მაზრა.**

აგვისტოს მეორე ნახევარში ამინდი აცივდა. წვიმები იშვიათი იყო, მაგრამ ამ გარემოებას ნათესებზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. მაზრაში ძლიერ გავრცელებულია მინდვრის თაგვი.

საშუალო მოსავალი დესეტინაზე ასეთია: პური—55 ფუთი, ქერი—65 ფ., სიმინდი—50 ფუთი, კარტოფილი—250 ფუთი, ყურძენი—80 ფუთი.

**ქუთაისის მაზრა.**

უკანასკნელ ხანებში მთელ მაზრაში მზიანი დარები იყო და ქროდა აღმოსავლეთის ქარი, რამაც საგრძნობლად დააზიანა სიმინდის ყანები. საზოგადოთ მოსავალი საშუალოზე უკეთესია, გარდა ვენახებისა.

**ოზურგეთის მაზრა.**

გურიაში თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში განუწყვეტლივ სწვიმდა. ამან დააზარალა ნათესები განსაკუთრებით სიმინდი. მინდვრის მავნებელთაგან უმთავრესად გავრცელებულია მახრა.

სიმინდის მოწევას ახლო ხანში შეუდგებიან. დესეტინაზე მოელიან 60-70 ფ. სიმინდს, 150-200 ფ. კარტოფილს, ყურძენს 180-150 ფ. და სხვა.

საქართველოს დანარჩენი მაზრებიდან ცნობები არაა მიღებული.

## დედის წერილი წითელ არმიელს.

დედა დასცილდა თავის პირმშო შვილს,
ზამთრის ფარაჯას მისცემენ მალე,
დრო ჟამი გავა, ხანი გაივლის
შვილი მიიღებს ბევრ დავალებებს:

———

„შვილო გახსოვდეს ჯარი ჩვენია
მუშა-გლეხები ადგენენ რაზმებს,
შენ აბა მეტი რა დაგშთენია
იმათთან ერთად ითვლიდე ვაზნებს.

———

დღეს ჩვენვე ვიცავთ ჩვენ თავს იცოდე
ჩვენია მიწა უსაზღვრო, დიდი.
გახსოვდეს ცეცხლად უნდა იწოდე
შენი ქვეყნისთვის. ამიტომ გზრდიდი.

———

მუშა ხარ შვილო და გლეხთან ერთად
ვერ შეგაშინებს ვერც ერთი ძალა.
ჩვენ სხვასაც უხმობთ შემოგვიერთდეს
ვისთვისაც უნდა გათენდეს მალე.

———

უწინ თავადებს იცავდა მამა,
კვდებოდა სადღაც შორს, განაპირზე.
დღეს ბედმა ისე გაგითამამა
სწავლას სამხედროს შინვე აპირებ.

———

ფიცავდენ ღმერთს და მეფის ოქროებს
სწყუროდა სისხლი მილიონების—
და ისევ მეფის სასახლის ხროვას
ემატებოდა ზღვა ქონებების.

———

დღეს ჩვენვე ვიცავთ ჩვენს თავს იცოდე
თოფი და ტყვია გეჭიროს მარჯვედ.
შენ მარად ცეცხლად უნდა იწოდე,
რომ მუშა-გლეხებს ჰყევხარ დარაჯად."

წ. ა.

## სამხედრო საქმე

### ძიება არმიის „თვალი და ყურია".

**როგორ უნდა იწერებოდეს დასმენა უფროსისადმი.**

ყოველ მოხსენებასა და დასმენას უფროსისადმი მძიებელი სწერს რუქის მიხედვით, ხოლო რუქა აუცილებლად დაყენებულ იქნას ადგილმდებარეობაზე. როცა იპოვნი იმ ადგილს, სადაც იმყოფები და აგრეთვე მტრის საყოფ ადგილს რუქაზე, მაშინ შეიძლება დაიწყო დასმენის წერა.

დასმენა აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგს: სად და ვის უნდა გაეგზავნოს დასმენა, ადგილი სადაც შენ იმყოფები, დასმენის შედგენის დრო (საათები, წუთები) და რა იცი მტრის შესახებ (სად იმყოფება მტერი, რას აკეთებს და როგორი ძალები ჰყავს) ამასთან თავისი და მტრის სამყოფი ადგილი უნდა აღნიშნო ისე, რომ შენმა უფროსმა შესძლოს ამ ადგილების რუქაზე პოვნა.

მაგალითისთვის ავიღოთ მძიებლის დასმენის რამოდენიმე ფორმა და შევეცადოთ მათ გარჩევას. მაგალითი: „მივედი თუ არა ერთ სოფელთან, მე ამიტეხეს თოფითა და ტყვიამფრქვევით სროლა მეზობელ სოფლებიდან და ჭალიდან. ტყის განაპირად, რომელიც ჩემს წინ იმყოფება, მოსჩანს მტრის მავთულ ხლართები. სოფელი, რომელსაც მე მივადექი, მტრის მიერ დაკავებული არაა. მე დავიხიე ტყეში და განვაგრძობ თვალთვალს".

მძიებელ ჯგუფის უფროსი კალანდაძე.

ეხლა ვნახოთ, რამდენად კარგადაა შედგენილი ეს დასმენა და გაიგებს თუ არა ამის მიმღები უფროსი—სად იმყოფება მისი მძიებლები და სად მტერი.

რასაკვირველია ვერაფერს გაიგებს. დასმენაში არაა ნაჩვენები, სად იმყოფება მძიებელი და სად მტერი. არ არის აღნიშნული სოფლის სახელები. მძიებელს რომ რუქა გამოეყენებია, იმ შემთხვევაში სოფელს დაასახელებდა ისე, როგორც ეს რუქაშია აღნიშნული.

ეხლა განვიხილოთ მეორე დასმენა:

„მივედი თუ არა სოფელ ბუკის ციხესთან, მე ამიტეხეს სროლა სოფელ იანეულიდან და სოფ. დაბლა ციხის მხრიდან. სოფელ იანეულში, კუდუნეთის გორაზე და დაბლა ციხეს, ნიკოშკვარაზე მოსჩანს მავთულ ხლართები, მე შევიპარე ეკლესიის გორაზე და იქიდან განვაგრძობ თვალთვალს. სოფელ ბუკის-ციხეში მტერი არ არის"

დანართი: ანგარიშის ბარათი.

მძიებელ ჯგუფის უფროსი ქორიძე. აი ამ დასმენაში დასახელებულია მოსახლე წერტები და ის ადგილებიც, სადაც მტერი უნდა იყოს. ამას გარდა დასმენას თანდართული აქვს ანგარიშის ბარათი, რომელიც შედგენილია თვით მძიებლის მიერ. ასეთი დასმენის მიღების შემდეგ უფროსი მყისვე გაიგებს სად იმყოფება მტერი და სად მძიებელი. ასეთი დასმენით მძიებელი დიდად დაეხმარება თავის უფროსს და სავსებით აასრულებს მასზე დავალებულ ამოცანას.

ი. ბარ.

## საჭიროა საკითხის მეტი გარკვევა.

(პოლიტ მეცადინეობის ერთი საკითხის შესახებ)

მისასალმებელია, რომ ჩვენი პრესის ფურცლებზე, როგორც იქნა ერთი სტატია მაინც დაიწერა ჩვენს ნაწილებში პოლიტ-მეცადინეობის დღიურ მწვავე საკითხების შესახებ. ეს საკითხი, დღეს-დღეობით არ არის კარგათ გადამუშავებული და ამიტომ საჭიროა მასზე მეტი ყურადღება და უფრო დაკვირვებული მიდგომა. ამხ. მაისაია საკითხის ბოლო ორ კითხვებში, ცოტა არ იყოს ცდება. აქ უფრო მეტად შაბლონი, ძველი და ნაკლებია, საკუთარი ახალი აზრი, რომლის მოსმენა უფრო საინტერესო იყო ამ საკითხის გარშემო. აშკარად სჩანს, რომ ამ წერილის წერის დროს, ამხ. მაისაიას მშრალად უსარგებლია პოლიტ-საათის მეთოდიკის სახელმძღვანელოთი და არ უსარგებლია ყოველ დღიურ პრაქტიკით და სინამდვილით. მაგალითად, ამხ. მაისაია ამბობს, რომ სუსტ ჯგუფს სჭირია მომზადებული ჯგუფისხელი და მომზადებულ ჯგუფს კი სუსტი ჯგუფის ხელი. არ მესმის როგორ წარმოუდგენია ამხ. მაისაიას სუსტი და ძლიერი ჯგუფი? მაგრამ ჩვენი გაგებით ნაწილში სუსტი ჯგუფი ისაა, რომელმაც არ იცის წერა-კითხვა ან და ძალიან სუსტად. მაგარი, ჩვენ ნაწილში არის ისეთი ჯგუფი, სადაც კარგათ ერკვევიან ყოველივე პოლიტიკურ და საერთო საგნობრივ ცოდნაში. ახლა გავარკვოთ, როგორია ჯგუფის ხელმძღვანელების ხარისხი ან და ვინ ითვლება სუსტ და ძლიერ ხელმძღვანელათ?

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ წითელი ჯარი შენდება პოლიტიკურ საფუძვლებზე. მას უნდა ქონდეს გარკვეული თუ რისთვის და ვისთვის იბრძვის და რა საბოლოო მიზანი აქვს მას.

აქედან აშკარაა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა კარგათ ერკვეოდეს როგორც საგნობრივ ისე პოლიტიკურ ცოდნაში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სუსტი ჯგუფის ხელმძღვანელათ ჩაითვლება ის, რომელიც სუსტია პოლიტიკურათ, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა მას საგნობრივი ცოდნა, რათა შეასწავლოს სულ უცოდინარ ჯგუფს წერა-კითხვა და გაურკვიოს ცოტად თუ ბევრად პოლიტიკური საკითხებიც, დაკავშირებული პირველ დაწყებითი წერა-კითხვის სწავლასთან. რა შედეგებს მივიღებთ, რომ ამხ. მაისაიას დავუჯეროთ?

მიეცით სუსტი ჯგუფს კარგი ხელმძღვანელი, ეს ნიშნავს—კარგი ხელმძღვანელს დაავალო წითელ არმიელების წერა-კითხვის შესწავლა და მეტი არაფერი, იმ დროს, როდესაც ამისთანა ხელმძღვანელს შეუძლია უფრო მეტი სარგებლობის მოტანა. სუსტი ხელმძღვანელი, რომ დაუნიშნოთ კარგ ჯგუფს—არავითარ ნაყოფს არ მოიტანს და არა თუ დააწინაურებს ჯგუფს, არამედ უკან დასწევს ან და უკეთეს შემთხვევაში ერთ დონეზე გააჩერებს მას.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ უცოდინარი წითელ არმიელი ამერიკულ მეთოდით სწავლობს წერა-კითხვას 2 3-4 ან და სულ დიდი 6 თვეში, წითელ ჯარში კი მსახურობს წითელ არმიელი 2 წელ. ასე, რომ 1 ნახ. წლის განმავლობაში წითელ არმიელმა უნდა ტკეპნოს სუსტი ხელმძღვანელის მადლით ერთ ადგილზე.

როდესაც უცოდინარი წითელი არმიელი შეისწავლის წერა-კითხვას, მას ეხსნება ცხოვრების გაუგებარი ჰორიზონტი, უჩდება მრავალი საკითხები, რომელზედაც პასუხი უნდა მიიღოს მან. შესძლებს თუ არა, სუსტი ჯგუფის ხელმძღვანელი განუმარტოს ყველაფერი ან და ზოგადი მაინც?

ცხადია, არა. ასეთია ამ საკითხში ამხ. მაისაიას რჩევა.

მასალების დამუშავების საკითხში ამხ. მაისაიას სულ არ ვეთანხმებით, ვინაიდან ის ამბობს, რომ, ვითომდა მან როგორც პოლიტ-ხელმა უნდა დაუმზადოს ან და დაუმუშაოს კონსპექტები და მიუთითოს მასალებზე, საიდანაც ხელმძღვანელმა უნდა იხელმძღვანელოს, იმ შემთხვევაშიც თუ ჯგუფის ხელმძღვანელს არ სცალიათ.

სრულებით მიუღებელია, რომ პოლიტ-ხელი ამზადებდეს კონსპექტებს და ამით ხელმძღვანელობდეს ჯგუფის ხელმძღვანელი.

ამ რჩევაზე უფრო უკეთესია უკვე მიღებული ზოგ ლეგიონში, ჯგუფის ხელმძღვანელების დანაწილება კომისიებათ, რომლებში შევლენ თანასწორ ცოდნის ჯგუფის ხელმძღვანელები და ასე კოლექტიურათ დაამუშავებენ კონსპექტს. თუ იტყვით, რომ ბევრ მეთაურს ან და წითელ არმიელს ჯგუფის ხელმძღვანელს არ აქვთ დროვო, ეს არ იქნება სწორი, ვინაიდან ნაწილმა უნდა გაანაწილოს და გაანთავისუფლოს დანიშნულ დროზე ჯგუფს ხელმძღვანელები.

აი ეს უნდა მოგვეთხოვათ თქვენ და არა ის რომ თქვენ, დროის უქონლობის მიზეზით და პოლიტ-ხელების, დამუშავებულ კონსპექტების გადაცემით, აძლიერებთ ისედაც არასასურველ შეხედულებას ჯგუფების ხელმძღვანელების მოვალეობის შესახებ.

წ. არმ. შ. სიდ-ვა.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲠ-ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## მისალმების დეპეშა.

„მეორე დივიზიის უფროსის და პოლიტგანყოფილების სახელზე მოვიდა შემდეგი მისალმების დეპეშა:

მეოთხე ლეგიონის ცვალებად-შემადგენლობის და ლეგიონში მოვლენილ ქართულ კურსანტების საზეიმო სხდომა მხურვალე სალამს გიძღვნის იმ გიგანტიურ ხელმძღვანელობისათვის როგორიც გაუწიეთ ლეგიონს საერთო შეკრების დროს და რომელმაც დიდი ნაყოფიერი შედეგები მოუტანა ცვალებადელებს როგორც სამხედრო ისე პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

საქვეყნოდ ვაღიარებთ, რომ საჭიროების დროს ყველანი როგორც ერთი ფეხზე დავდგებით დიად ოქტომბრის მონაპოვარის დასაცავად. ეხლა კი სოფლად დაბრუნებისას ყოველგვარ ღონისძიებას ვიხმართ განვახორციელოთ კომუნისტურ პარტიის დავალებები სოფლად მუშაობის საქმეში და მომავალ შეკრებამდე გავაღრმავოთ მიღებული სამხედრო ცოდნა.

ჩვენ სამხედრო სკოლის კურსანტები კი, მუდამ მზათ ვიქნებით გვერდში ამოუდგეთ წითელ-არმიელებს და მათთან ერთად განვახორციელოთ ლენინიზმის პრინციპები.

ლეგ. მეთაური ბელოვი სამხკომი ნანაძე.

## მუშაობა ლენინის კუთხეში.

**მეხუთე ლეგიონი.**

№ ქალაქში დაბინავებისთანავე ასეულები შეუდგენ ლენინის კუთხეების მოწყობას.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში მშვენივრად იქნა მორთული როგორც ლენინის კუთხე, ისე სამხედროც. ლენინის კუთხეებში თავისუფალ საათებში ტარდებოდა გაზეთების ხმა მაღლა კითხვა და სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვებზე საუბარი.

**კომ-უჯრედში.**

საერთო შეკრების შემდეგ კომუჯრედები ჩამოყალიბებული იქმნა ასეულებში, პარტ-ამხანაგების რიცხობრივ გადიდების გამო. უჯრედებს ყავს თავ-თავისი ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს უჯრედის მუშაობას და ა. ლ. კ. კ. ჯგუფის მუშაობას.

ა. ლ. კ. კ. ჯგუფი არსებობს კომუჯრედებთან. საერთოდ უჯრედებში ტარდება კრებები, სადაც კეთდებოდა მოხსენებები საჭირ-ბოროტო კითხვებზე.

ათასეულის შემადგენლობა გულის ფანცქალით ელოდებოდა მანევრებზე წასვლას, 25 სექტემბერს მთელი ლეგიონი გაემგზავრა მანევრებზე. წითელ ლაშქრელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა.

მანევრები გაგრძელდა 29 სექტემბრამდე და ამავე დღეს საღამოს დაბრუნდენ. საერთოდ მანევრებმა კარგი შედეგი დასტოვა და ნაყოფიერად იქმნა ჩატარებული.

საერთოდ ჩვენმა ათასეულმა ცვალებად შემადგენლობასთან შეკრების შემდეგ დიდი საქმე გააკეთა რაც გამოიხატება ცვალებად-შემადგენლობის საქმაოდ-მომზადებაში სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებზე, და სხვა.

სამხკორი ყულისკარელი.

## ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ ᲢᲔᲠᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

**4-ხე ლეგ. 2-რე ტყვ. ასეული.**

29 სექტემბერს შესდგა ლეგიონის 2-რე ტყვიამფრქვევ ასეულის გაერთიანებული კრება დაესწრენ ყველა ამხანაგები. პირველად კრებამ მოისმინა ამხ. ჩ. ნთარიას მოხსენება სამხედრო დისციპლინისა და მისი დაცვის მნიშვნელობის შესახებ; შემდეგ კი ვრცელი მოხსენება ამხ. ღვდელაძის ტერიტორიალური ალმშენებლობისა და მისი ჩამოყალიბების შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლუცია, რომელშიდაც მთელი ასეული ფიცს სდებს, რომ ხელს შეუწყობენ ტერალმშენებლობის განმტკიცებას.

ნ. ლიახვისპირელი.

## ᲞᲝᲚᲘᲢᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ 1-ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ-ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

პოლიტმეცადინეობა 1 საარტილერიო ლეგიონში სისტემატიურად მიმდინარეობს. პოლიტსაათს ატარებენ როგორც პოლიტხელები და მასწავლებლები ისე მეთაურებიც. მუშაობა გაცხოველებულია. სწარმოებს ყოველდღიური თემების დამუშავება უფროს პოლიტხელის ხელმძღვანელობით. წითელი არმიელები დიდი ინტერესით ეკიდებიან მეცადინეობას და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თემების შეთვისებაში. ლეგიონში სულ არის 8 ჯგუფი.

მასწავლებელი ნიჟარაძე.

# ᲐᲮᲐᲚᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

## ჩვენც მზად ვართ!

**1-ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.**

კიდევ რამოდენიმე დღე და ჩვენც გვესტუმრებიან თავ-თავიანთ პუნქტებიდან ჩვენი მუშების და გლეხების შვილები. ჩვენც მზად ვართ მათთან შესახვედრად.

გვაქვს მშვენივრად მოწყობილი ლენინის კუთხე, რომლის საშვალებით ჩვენ წ. არმიელებმა დიდი ცოდნა და განვითარება მივიღეთ.

ამ ჟამად კიდევ უფრო ვაწყობთ და ვაგროვებთ სხვა და სხვა მასალებს, როგორც ტეხნიკურ დარგში, აგრეთვე პოლიტიკურში.

ჩვენ გუნდის წ. არმიელები ახალწვეულების პირველ მოსვლისას, პირველ გაცნობისთანავე შეუდგებით იმ დიად საქმის დაგვირგვინებას, რომლისაკენ მოგვიწოდებს მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

ახალწვეულებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული ცალ ხელში შაშხანით და ცალ ხელში ნამგალ ჩაქუჩებით. გავამტკიცებთ და გავაძლიერებთ 3-ე ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წიაღიდან გასულ წითელ ლაშქარს!

წ. არმ. ნიკოლა—კუნჭულია.

## ჩვენი სამხკორთა წრის საქმიანობიდან.

**პირველ ქართულ ლეგიონი.**

ჩვენს ლეგიონში სამხკორთა მოძრაობას დიდი ყურადღება ექცევა, ჩვენი მესვეურების მიერ.

1924 წელში როდესაც ლეგიონმა მიიღო 1902 წელში დაბადებული წითელი არმიელები ჩვენს ნაწილში ძლიერად მოიკიდა ფეხი სამხკორთა მუშაობამ, მართალია პირველ ხანებში იყო მეტი დამაბრკოლებელი მიზეზებიც მუშაობაში.

სამხკორებს ვერ ჰქონდათ კარგად შეთვისებული თავისი მოვალეობა რაც ხელს უშლიდა სამხკორთა წრის ჩამოყალიბებას.



1-ლი ლეგიონის სამხკორთა წრე.

ამას ზედ ერთვოდა კიდევ ერთი არა სასურველი მოვლენა: გახშირდა სამხკორთა დევნა, დაცინვა, გინება და აუარება ცენზურები, რამაც კიდევ უფრო დაქსაქსა ისედაც მცირე სამხკორები ლეგიონში.

ზოგიერთი ამხანაგები სრულებით მოსწყდენ სამხკორობას და მიანებეს თავი გაზეთში თანამშრომლობას. ყოველივე ამის მიზეზი იყო, ის რომ ჩვენი მესვეურები პირველად ამას ვერ აქცევდენ სათანადო ყურადღებას და რეპრესიებმაც იმიტომ გაიდგა ფეხი მაგრად.

სამხკორთა დევნა რამოდენიმე თვეს გრძელდ. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი კორესპონდენტები ვერ აწარმოებდენ ნაყოფიერ მუშაობას.

მალე ლეგიონის ბიურო კოლექტივმა და სამხკომმა ყურადღება მიაქციეს ამ მოვლენას და ის ძირშივე ჩაჰკლეს. სამხკორთა მუშაობამ კიდევ მოიკიდა ფეხი.

ბიურომ სამხკორთა მოძრაობას შესაფერი იდეიური ხელმძღვანელობა გაუწია და ჩაატარა კამპანია ყველა კომუჯრედებში და ასეულებში, სამხკორთა მოძრაობის მნიშვნელობაზე.

1925 წელს მაისში ბიურო კოლექტივისა და კლუბის თაოსნობით მოეწყო ლეგიონში სამხკორთა წრე, რომელმაც ამოირჩია სამხკორთა წრის ბიურო და პარტ-ბ. კ. ერთად ხელმძღვანელობდა სამხკორთა წრეს. ბიურო კოლექ. სხვა დანარჩენ ხელმძღვანელობასთან ერთად წრეს მიამაგრა ერთი ბ. კ. წევრი.

ჩვენი სამხკორთა წრე თანდათან ფართოვდებოდა. ის მართავდა მეცადინეობას დაინტერესებულ წითელ-არმიელებთან ერთად. სწარმოებდა შესწავლითი წესით მეცადინეობა. წრე მეცადინეობდა გაზეთ „წითელ-არმიელის“ რედაქციის მიერ გამოცემულ ბროშურით, ინსტრუქციების მიხედვით.

ამჟამად ჩვენს წრეში ირიცხება 46—სამხკორები (ამათში 16 კედლის გაზეთების კორესპონდენტია) და სხვა დაინტერესებული წ.-არმიელები, რომლებიც ეხლა სწავლობენ წრეში. უნდა აღინიშნოს, რომ სამხკორობა შეისწავლეს იმ წითელ არმიელებმა, რომლებმაც ლეგიონში ისწავლეს წერა კითხვა. (ისინი ეხლა სამხკორებია).

წრის კრება გაიმართა 7-ჯერ, მეცადინეობა კი ოცჯერ.

ბიურო კოლექტივის და კლუბის მიერ სამხკორთა წრეს ცხრილის მიხედვით ეთმობა ხუთშაბათი დღე (მაგრამ ეწყობა რიგ გარეშე კვირაში ორჯერაც) და ამ დღეს სწარმოებს სამხკორთა წრის მეცადინეობა. კარგს ხელმძღვანელობას გვიწევდა და გვიწევს გაზეთ „წითელი არმიელის“ რედაქცია მეცადინეობაზე და მასალების მოწოდებაში.

გარდა ამისა წრე სწავლობდა წერას, ნიშნების დასმას, არჩევდა გაზეთ „წითელ არმიელში“ მოთავსებულ წერილებს და სხვა.

ის თვითონ იმუშავებდა გეგმას და უდგენდა კლუბს და ბიურო კოლექ., რის შემდეგ ბიურო კოლექტივიდან ვღებულობდით სათანადო დირექტივებს წრის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ წრეს ქონდა გარკვეული გზა მუშაობის საწარმოებლად.

(გაგრძელება იქნება).

ხ. იმნაიშვილი.

## მოგვეცით წითელი კუთხე.

**1-ლი ლეგ. ბატარეია.**

ბატარეია ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ ყველაფრით კარვათ მოეწყო საზამთრო შენობაში.

ასეთ გარემოებას მაინც აქვს ადგილი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს საჩქაროდ მოლაგრებას. არა გვაქვს წითელი კუთხე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ბატარეიაში სდგას ერთი დამტვრეული მაგიდა რამოდენიმე დახეული და უვარგისი წიგნებით. ყველა ასეულებს ლამაზად აქვთ მოწყობილი კუთხეები. ჩვენი წითელ არმიელები, რომ ნახულობენ ამას ძლიერ სწყდებათ გული და გაიძახიან: „ჩვენ რად შევადგენთ გამონაკლისს, ჩვენ რად არ მოგვიწყობენ წითელ კუთხესო“.

იმედია ყურადღება მიექცევა ამ მართებულ საყვედურებს და ჩვენც გაგვხდიან ღირსად ერთი წითელი კუთხის.

სამხკორი ცეცხლი.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲔᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲜᲣᲡᲮᲐ

**ქალაქ. კომენდანტის საყურადღებოთ.**

არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ჩვენს გაზეთში, რომ მოეცათ გარნიზონის საყარაულო შენობაში ქართული ენით ჩამოწერილი ნივთების ნუსხა. მაგრამ დღემდე მას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს, ყურიც არავის გაუბერტყია, ის კი დიდ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან, ქართულ სამხედრო ნაწილებს ხშირად უხდებათ გარნიზონის განწესებაში სიარული და რუსული ენის მცოდნე კი თითქმის არავინაა, ამისათვის ყოველთვის უხდებათ, ძველსა და ახალს ყარაულების უფროსებს გაუგებრობა და ერთმანეთში აყალ-მაყალის ატეხა.

გადაბარების დროს ვერ აბარებენ ერთმანეთს და საყარაულოში ყოველთვის გაუგებრობას აქვს ადგილი, ნივთების ჩაბარების დროს.

ყველა ეს რომ თავიდან ავიცდინოთ, უკეთესი იქნება კომენდანტი მიაქცევდეს ყურადღებას ამ მოვლენას და მოგვცემდეს ყველა გარნიზონის საყარაულო შენობაში, როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაზე ჩამოწერილ ნივთების ნუსხას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## სამხკორებს ფრთხილად მოვეპყრათ

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ცალკე საკავშირო ასეულში ჩატარდა სამხკორთა კრება და დეტალურათ იქმნა გაშუქებული სამხკორის მნიშვნელობა და მოვალეობა. სამწუხაროთ ეს ჯერ-ჯერობით ვერ შეუგნიათ ზოგიერთ ამხანაგებს და იმ ამხანაგს, რომელმაც ეხლა დაიწყო სამხკორობა და სწერს რომელიმე საყურადღებო საკითხის შესახებ, ცუდად უყურებენ და გულს უცრუებენ სამხკორობაზე.

ჩვენი მიზანი არის, რომ აქედან გასული წ. არმიელი, რომელიც დღეს ასრულებს სამხკორობას მომავალში გადეს სოფლკორი ან და გლეხკორი. თუ ჩვენ მას აუცრუებთ გულს და მის მიერ დაწერილ წერილზედ დაუწყეთ კამათი და ცხვირი აუბზუეთ, ამხანაგი იძულებული გახდება დაანებოს წერილის წერას თავი, რაც დიდ ბოროტებად ჩაგვეთვლება.

თუ რომელიმე სამხკორი ვერ სწერს სისწორით წერილებს, მას პასუხი უნდა გასცეთ პრესის საშვალებით და არა პირადათ თავზე დასხმით, რაც ყოვლად დაუშვებელია.

იმედია, მომავალში ადგილი არ ექნება ასეთებს.

სამხკორი ქანჩიანი.

# პარტიული ცხოვრება

**ბიურო-კოლექტივის გაერთიანებული კრება.**

მე-6 ტერ-ლეგიონი.

**29** სექტემბერს შესდგა ლეგიონის ბიურო-კოლექტივის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო ლეგიონის პოლიტ-მომუშავეთა უმრავლესობა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ლეგიონის სამნეო კომისიის თავმჯდომარის ჩატარებული მუშაობის შესახებ— 2. განცხადებების და ანკეტების განხილვა პარტიაში გადასარიცხავად და 3. მიმდინარე საკითხები.

პირველი მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სამნეო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. რუდომ, რომელმაც გააცნო კრებას თუ როგორი მუშაობა ვუწარმოებია სამნეო კომისიას დღიდან მათი ამორჩევისა ცვალებადელთა გამოწვევის შემდეგ. კომისიის მუშაობა გამოიხატება შემდეგში; მას მთავარი და განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია წითელ-არმიელთა მდგომარეობის ყოველმხრივად გაუმჯობესების საქმისათვის, როგორიც არის: კმაყოფის გაუმჯობესება, ტანთსაცმელ-ფეხსაცმელზე და ლოგინის მოწყობილობაზე ზრუნვა, ლეგიონში სისუფთავის დაცვა, თვალყურის დევნება, თუ როგორ მიმდინარეობდა ნაწილში სამხედრო, პოლიტიკური და აგრეთვე ყოველგვარი საქმიანობა და სხვა.

ამისთვის კომისიას შემოუღია ერთდაგვარი ანკეტები და შეუვსებინებიათ თვითეული ეროვნების ტერ-არმიელისათვის.

სამხედრო დამხმარე კომისიის მუშაობა კოლექტივის კრებამ ჩასთვალა სრულიად დამაკმაყოფილებლად, რისთვისაც დადგენილ იქნა რათა კომისიის თავმჯდომარეს ამხ. რუდოის და აგრეთვე კომისიის წევრებს ლეგიონის ბრძანებით გამოეცხადოს მადლობა დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის.

მეორე საკითხში განხილული იქნა ანკეტები და განცხადებები 8 ამხანაგისა, რომელთა შორის 4 კანდიდატებია და თხოულობდენ პარტიაში გადარიცხვას, 2. ლენახკომკავშირის წევრი, ხოლო დანარჩენი 2 კი უპარტო. სოციალური მდგომარეობით ყველა გლეხებია, განათლებით—დაბალი ცოდნით. ერთ მათგანს პარტ-კანდიდატს დროებით უარი ეთქვა ავტობიოგრაფიის შეუმოწმებლობის გამო, ხოლო დანარჩენების შესახებ აღძრულ იქნა შუამდგომლობა დივ-პარტკომისიის წინაშე მათი გადასარიცხავად.

პარტკორი ას—ნი.

# ახკომკავშირელთა შორის

## ქ. სამხ. პოლიტსკოლის კომ-კავშირის ცხოვრებიდან.

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ბანაკობიდან დავბრუნდით. იქ ყოფნის დროს ჩვენმა უჯრედის წევრებმადიდი მუშაობა გასწიეს სოფლად.

იყვნენ მიმაგრებული სოფლის უჯრედებზე, რომლებიც სისტემატიურად დაიარებოდენ კვირაში ერთხელ და უწევდენ დახმარებას იქაურ გლეხობას. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ძლიერ დაშორებული ვართ ეხლა სოფელს, მაგრამ მაინც უწევთ მას საჭირო დახმარებას.

ტფილისში ჩამოსვლისთანავე ჩვენ გავემგზავრეთ სოფლებში მოკლე ვადიან შვებულებაში. იქაც არ გავჩერებულვართ ტყვილა. ყველას აქტიური მონაწილეობა მიუღია სოფლად მუშაობაში. განსაკუთრებით ახალგაზრდობის დღის ჩატარებაში.

ორი კვირაა რაც დავბრუნდით შვებულებიდან, მაგრამ ჯერ კიდევ სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ დაუახლოვდით ორგანიზაციებს. განზრახული გვაქვს ვიქონიოთ მჭიდრო კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან როგორც გვქონდა ბანაკში წასვლამდე.

ამას წინად მოხდა ბიუროს გადარჩევა, ავირჩიეთ ახალი პრეზიდიუმი, რომლებიც იმედია, უფრო პირნათლად შეუდგებიან თავიანთ მოვალეობის ასრულებას.

არ მოგვეპოება კომკავშირის ლიტერატურა, რის გამოც თითოეული კომკავშირელი რჩება ისე, რომ ვერ ეცნობა ახალგაზრდობის მოძრაობას და მის ყოფაცხოვრებას. მეორეც ისაა, რომ არ ვართ აღრიცხვაზე აყვანილი.

საჭიროა მიექცეს ყურადღება ამას და აგვიყვანონ აღრიცხვაზე.

სამხკორი მ.ხო საწირელი.

# მოგვეცით აბანო.

მე-2 ლეგიონი.

ჩვენ მე-2 ლეგიონის წითელ არმიელები მეტად ცუდ მდგომარეობაში ვართ.

აგერ ერთი თვე შესრულდა რაც ჩვენ საცვლები არ გამოგვიცვლია და არც აბანოში წავსულვართ. მიუხედავათ ამისა ყურადღებას არავინ გვაქცევს და ეს აუტანელი მდგომარეობა ისევ გრძელდება.

მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით აბანო.

წ. არ. სუფხიელი.

# ამბები სოფლებიდან

**ქიათურის გეგმა.**

შორაპნის სამაზრო აღმასკომს განზრახული აქვს მომავალი წლის ბიუჯეტიდან გადასდოს 8300 მან. ქიათურის ქალაქის გეგმის შესადგენათ.

**ბაზრობა.**

დაბა გალში (სამურზაყანო) 15 ოქტომბრიდან გაიხსნება ბაზრობა, რომელიც გასტანს ორი კვირა.

**ჩაის ქარხანა.**

განზრახულია სოფ. აცანაში (გურია) აგებულ იქნეს ჩაის გადასამზადებელი ქარხანა.

**საქონლის ჭირი.**

გორის მაზრაში მძინვარე საქონლის ჭირი, მიღებული ზომების წყალობით სრულიად მოისპო.

**ტყის გაშენება.**

სატყეო განყოფილება შეუდგა თელავის მაზრაში ტყის გასაშენებლათ წინასწარ მუშაობას.

**საბინაო აღმშენებლობისათვის.**

ტფილისის კომუნალურმა ბანკმა სესხათ მისცა ახალქალაქის სამაღმასკომს 2 ათასი მანეთი მაზრაში საბინაო აღმშენებლობისათვის.

— ტერკორების გამოშვება. მე-7 ლეგიონში არსებული ტერკორესპონდენტთა მოსამზადებელმა წრემ უკვე მოახდინა 1-ლი ჯგუფის გამოშვება.

— წითელ-არმიელთა კლუბი. ამ დღეებში პოლიტგანყოფილება შეუდგება წითელ არმიელთა ცენტრ. კლუბის საზამთრო შენობის ნაწილობრივ შეკეთებას.

— წითელ თეატრში პროლეტკულტმა უფასოთ დაუთმო ქართულ ნაწილებს ყოველდღიურად 20 ადგილი.

— ტრაქტორები გლეხკომებისათვის. სოციალურ უზრ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სას-სამ. ბანკის წინაშე იქონიოს გლეხკომების საჭიროებისათვის ტრაქტორების საკმაო მარაგი.

— ახალი კურსები. სოც. უზრ. სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებასთან მოეწყო ინვალიდთა ნადების გამგეების მოსამზადებელი კურსები.

— დახმარება კოოპერაციას. ტფილისის აღმასკომმა, სახკომსაბჭოსაგან კოოპერატივების დასახმარებლათ, მიღებული 5 ათასი მანეთი გაანაწილა შემდეგ ნაირათ: საგარეჯოს კოოპერატივს—1000 მანეთი, მცხეთის—700 მანეთი, ერწოს 500 მანეთი და თელეთის კოოპერატივს—300 მანეთი,

— დახმარება სოფელს. მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა მაზრებში არსებულ გამქირავებელ პუნქტებს დაუგზავნა 14. 626 მანეთის მანქანები.

# შეცდომის გასწორება.

გუშინდელი ჩვენი გაზეთის № 227-ში მეოთხე გვერდზე მოთავსებულ ამხ. კალანდარაშვილის წერილში („წერილი რედაქციის მიმართ") შეცდომით აღნიშნულია, რომ კალანდარაშვილის მშობლებისაგან გადმოგზავნილი ფული მიუღია მე-2 არტლეგ. ხაზინადარს, ნამდვილად კი ის მიუღია მე-2 ლეგიონის ხაზინადარს—ჭელიძეს.

# კონფერენცია სამხედრო საკითხებზე.

დღეს, 8 ოქტომბერს საღ. 6 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლის საზაფხულო სადგომში დანიშნულია ქალ. ტფილისის სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია.

კონფერენციაზე სასურველია დაესწრონ პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნიც.

წარმომადგენლობის ნორმა ასეთია: თვითეული ნაწილის სამხედრო სამეცნიერო წრე აგზავნის სამ წარმომადგენელს. ამათში ერთი უნდა იყოს სამხედრო სამეცნიერო საბჭოს წევრი. სამმართველოების, შტაბების, სამხ. სამეც. საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციები აგზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს.

კონფერენციის დღის წესრიგში ჯერ-ჯერობით მხოლოთ სამი საკითხია აღნიშნული: 1) მშრომელი მოსახლეობის გასამხედროების შესახებ, 2) სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებათა საგარნიზონო გაერთიანებათა მიზნები და ამოცანები და 3) სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების ქ. ტფილისის საგარნიზონო საბჭოს არჩევნები.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** გამოწვეული ვარ 1924 წ. მაისში. მეკუთვნის თუ არა შვებულებაში წასვლა?

წ. არმ. ჯგერენაია.

**პასუხი.** თუ ტერნაწილში ხართ წახვალთ უვადო შვებულებაში პირველ დეკემბრამდი.

**კითხვა.** საექიმო კომისიის მიერ განთავისუფლებული იყავი ოთხი თვით. მომეცემა თუ არა ამ ხნის განმავლობაში ჯამაგირი?

ქვეითაია.

**პასუხი.** არ მოგეცემათ, ვინაიდან თქვენ ამორიცხული იქნებით ლეგიონის სიიდან.

**კითხვა.** რამდენ ოთხკუთხედი ეკუთვნის უფროს და უმცროს ექიმის თანაშემწეებს?

ხევე.

**პასუხი.** უფროსს სამი სამკუთხედი და უმცროს ორი სამკუთხედი.

**კითხვა.** მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო საექიმო-სასანიტარო პროფკავშირში ჩარიცხვა, როგორც საექიმო ფაკულტეტის მე-4 კურ. სტუდენტი და იმავე დროს ტერნაწილის უფროსი მეთაური?

ნ. რ.

**პასუხი.** მწყობრის მეთაურს კავშირში შესვლა არ შეუძლია.

**კითხვა.** გამომიწვიეს 1924 წ. მაისში. ვარ ლეგიონში მჭედლად. როდის გამათავისუფლებენ?

ქარჩაიძე.

**პასუხი.** თუ სამჭედლო კურსები დაამთავრეთ მაშინ უნდა იმსახუროთ სამ წელიწადს.

**კითხვა.** 1925 წ. მაისში გამოწვეულები როდის წავლენ უვადო შვებულებაში?

მ. ვ.

**პასუხი.** 1926 წ. შემოდგომაზე.

**კითხვა.** მეკუთვნის თუ არა მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა?

ფიცხელაური.

**პასუხი.** თანახმად ბრძანებისა №821 წითელ არმიელს შეუძლია მოკლე ვადიან შვებულებაში წასვლა ერთი წლის სამსახურის შემდეგ.

**კითხვა.** 1924 . წგამიწვიეს შემოდგომაზე ჯარში. მყავს ცოლშვილი, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქად და განიცდიან დიდ გაჭირვებას. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

ქ. რუხაძე.

**პასუხი.** ნაწილის თავის შუამდგომლობით მიმართეთ სოც. უზრ. კომისარიატს და აღმასკომს.

**კითხვა.** ვარ უმცროსი მეთაური. დამტოვეს სამსახურში ზედმეტ მსახურად 17 სექტემბრიდან. რომელ რიცხვიდან მეკუთვნის ჯამაგირი?

უნ. მეთ. ლ-მი.

**პასუხი.** ამა წლის პირველ ოქტომბრიდან.

**კითხვა.** ვარ გამოწვეული ჯარში 1924 წ. მაისში. დავრჩი ლეგიონში ზედმეტ მსახურად და ბრძანებით დანიშნული ვარ ათის თავად. მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი და რამდენი?

ობოლაძე.

**პასუხი.** გეკუთვნით თანახმად შტატისა.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ. ნავრუზაშვილს** (2-რე საარტლეგ.) **ჩახაიას** (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილები: „უპოვეთ გზა ამ პირს" და „ცხენოსანი ლეგიონი" გამოდგება კედლის გაზეთებისათვის.

**ამხ. ჯუშკუისპირელს** თქვენი ლექსი, „შვებულებაში წასული ტერ-არმიელი" არ გამოდგა.

**ამხ.ამხ.ნოზაძეს** (5-ე ლეგ.)ალ.სანაძეს და მესტიაშვილს (6-სე ლეგ). თქვენი კორესპონდენციები „ზეიმი" მეხუთელეგმანევრები და„6 სე ტერლეგიონის 13—უჯრედში" არ დაიბეჭდება. ასეთი შინაარსის წერილები უკვე იყო ჩვენს გაზეთში.


# განცხადებები

**დავკარგე** პარტკომისიის მიერ მოცემული საკანდიდატო წიგნაკი № 2690, იაგორ ბარსაბის ძე ელბაქიანის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტის ეკონომიური დარგიდან გაცემული მატრიკული სტუდენტ მოსე ივანეს ძე აფრიდონიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დავკარგე** ახკომკავშირის მე-4 რაიკომიდან მოცემული დროებითი მოწმობა № 5195, ალექსანდრე კალანდაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.


პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.